საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5876
21/11/2025

5876-01-2-202511211004

მარიამ შავლიაშვილს (პ/ნ 59101130799)

მის: ქ.გორი, სოფელი ახალდაბა, მე-2 ქუჩა, N 29

გაცნობებთ, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოვიდა მოქალაქე
(შემდგომში - მომხმარებელი/განმცხადებელი) 2025 წლის 24 ოქტომბრის №01/6398 განცხადება, რომლის საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 20 ნოემბრის №04/1361 ბრძანებით, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - მარიამ შავლიაშვილის (პ/ნ 59101130799) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

განცხადების თანახმად, მომხმარებელმა მოვაჭრის სავაჭრო გვერდზე „მალუსია“ [ლინკი:https://www.facebook.com/malusiashop] შეიძინა ბეჭდები, რომლებიც დღემდე არ მიუღია. მომხმარებელმა მიმართა მოვაჭრეს თანხის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა მოვაჭრე არ რეგირებს მომხმარებლის პრეტენზიაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 20 ნოემბრის №04/1361 ბრძანების ასლს და მომხმარებლის განცხადებას. ამასთან პროცედურის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გთხოვთ, წერილის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, ამავე ვადაში გთხოვთ მოგვაწოდოთ - სავაჭრო გვერდის „მალუსია“ სავაჭრო პოლიტიკა-დისტანციური ვაჭრობის შემთხვევაში, სრული სახით.

დანართი: „5“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1361
20.11.2025

ბრძანება

1361-01-4-202511201025

განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 24 ოქტომბრის №01/6398 განცხადების საფუძველზე დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - მარიამ შავლიაშვილის (პ/ნ 59101130799) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 19 ნოემბრის №03/1677 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე